საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2019 წლის 11 მარტი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №99/17

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური დევნის/სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხიმსგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად, (2018 წლის 1 მაისამდე არსებული რედაქცია) მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძველი გახდა -- -- და -- -- 2017 წლის 14 ივნისის №-- საჩივარი.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 20 აპრილის №--/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 14 მაისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2018 წლის 14 მაისს მიიღო გადაწყვეტილება მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე.

1. **საჩივრებში მითითებული ფაქტები:**

საჩივრის ავტორები მიუთითებენ საქმის განხილვისათვის კანონით განსაზღვრული ვადის

გაჭიანურებაზე.

2. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 26 აპრილს, -- -- და -- -- სარჩელით მიმართა -- რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ, მემკვიდრის უფლებამონაცვლედ და ტრანსმისიით მემკვიდრეობის უფლების აღიარების მოთხოვნით.

2016 წლის 15 აგვისტოს მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სამოქალაქო საქმე -- -- განტვირთვის მიზნით, განსახილველად გადაეწერა მოსამართლე -- --.

2016 წლის 22 სექტემბერს, მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა, მოპასუხისათვის სარჩელის ჩაბარების დამადასტურებელი გზავნილები.

2017 წლის 13 მარტის განჩინებით, მოსამართლე -- --, 28.04.2017 წელს დანიშნა მოსამზადებელი სხდომა, რომელიც მოსამართლის ავადმყოფობის გამო გადაიდო 2017 წლის 24 მაისს.

2017 წლის 24 მაისის სხდომაზე, მოსარჩელე მხარის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა გადაიდო 2017 წლის 14 ივნისს.

2017 წლის 6 ივნისის განცხადებით, -- -- და -- --, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83^1-ე მუხლის საფუძველზე გაიხმეს სარჩელი, 07.06.2017 წლის განჩინებით, მათი სარჩელი დარჩა განუხილველი.

განუხილველად დატოვების შესახებ 2017 წლის 7 ივნისის განჩინება გაეგზავნათ მხარეებს, განჩინება არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში.

3. მოსამართლე -- -- ახსნა-განმარტება:

მოსამართლე -- -- მიერ, 2019 წლის 6 მარტს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოში წარმოდგენილია ახსნა-განმარტება, სადაც საქმის განხილვის გაჭიანურების ძირითად მიზეზად საქმეთა სიმრავლე სახელდება. მოსამართლე ყურადღებას ამახვილებს სტატისტიკურ მონაცემებზე. ასევე იგი აღნიშნავს, რომ იხილავდა სისხლის სამარრთლის საპატიმრო საქმეებს როგორც პრიორიტეტულებს და შესაბამისად ნიშნავდა სხვა დანარჩენ საქმეებსაც.

4. დისციპლინური დევნის/სამართალწარმოების შეწყვეტის სამართლებრივი დასაბუთება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მოცემულ შემთხვევაში, შესაძლოა სახეზე იყოს მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევის, „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების“ ფაქტს.

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრების საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს, თავისი არსით რას წარმოადგენს - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, როდიდან უნდა ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო“. აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებით განმარტებებს არ გვაძლევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, არც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებები იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების შესაძლებლობას.

ამდენად, მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

ამასთან, საქმის განხილვის დაწყების შემდეგ იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული სასურველია შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც

საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, 55; Papachelas v. Greece, 39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, 72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, 63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, 150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, 103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, 61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece; 93; Tiece v. San Marino; 31; Suermeli v. Germany, 129.)

როგორც ცნობილია, ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის ადგენს, რომ ,,ყველას აქვს ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლება". ვადების განსაზღვრა ფუნდამენტური ნაბიჯია იმისთვის, რომ გაიზომოს და შეფასდეს საქმისწარმოების ეფექტიანობა და კონცეპტუალურად განისაზღვროს დაგროვილი საქმეების რაოდენობის შემცირების გზები. მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს: 1) სამუშაო დატვირთვას - რაშიც იგულისხმება მთლიანი სამუშაო, რასაც სასამართლო ან მოსამართლეები ახორციელებენ. ეს არის სასამართლოსა და მოსამართლეების მიერ განხორციელებული ყველა საქმიანობის ერთობლიობა; 2) განსახილველად დაგროვებული საქმეების რაოდენობას - ეს არის საქმეების რაოდენობა, რომლებიც სასამართლომ, ან მოსამართლემ უნდა განიხილოს; 3) განსახილველ საქმეებს - საქმეების რაოდენობა, რომლებიც მოსამართლემ უნდა განიხილოს გარკვეული პერიოდის განმავლობაში; 4) ვადებს - დროის გარკვეული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული საქმეების გარკვეულ რაოდენობასთან, ან პროცენტთან დაკავშირებით, საქმეების ხანდაზმულობის გათვალისწინებით; 5) განუხილველ საქმეებს - ეს არის დაგროვილი საქმეების რაოდენობა ან პროცენტი, რომლბიც დადგენილ ვადაში არ იქნა განხილული.

„დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება არის უაღრესად საფრთხილო და მნიშვნელოვანი საკითხი. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება შეიცავს სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ზემოქმედების პოტენციურ საფრთხეს... მოსამართლეს

დისციპლინური სახდელი ეკისრება, თუ დადასტურდება მის მიერ იმ ქმედების ბრალეულად ჩადენა, რომელიც წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას. შესაბამისად, დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველი არის მხოლოდ და მხოლოდ მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის ზუსტად განსაზღვრას, რომ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.“ (სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება №1/04-12 დისციპლინურ საქმეზე).

მოპასუხის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით. მოსარჩელეებმა სასამართლოს მოპასუხისათვის სარჩელის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი წარუდგინეს 2016 წლის 22 სექტემბერს. საგულისხმოა ის გარემოება, რომ მოსამართლემ, რომელმაც საქმეზე არ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, პირველი მოსამზადებელი სხდომა ჩანიშნა 7 თვისა და 6 დღის შემდგომ, რომელიც გადაიდო დამატებით კიდევ ერთი თვით. საერთო ჯამში კონკრეტული სარჩელი, მოსამართლე -- -- განხილვაში იყო 2016 წლის 22 სექტემბრიდან - 2017 წლის 7 ივნისის ჩათვლით (9 თვე), სარჩელი დარჩა განუხილველი მოსარჩელეთა მიერ სარჩელის გახმობის გამო.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესია შეფასდეს მოსამართლის დატვირთულობა და მასზე განსახილველად გადაცემულ და მის მიერ დასრულებულ საქმეთა რაოდენობა, ასევე მის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები.

-- რაიონული სასამართლოს 2016 წლის სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლე -- -- - დაეწერა არსებითად განსახილველად 75 სისხლის სამართლის საქმე - დაასრულა 94; წინა სასამართლო სხდომა დაეწერა 72 სისხლის სამართლის საქმე - დაასრულა 74; საპროცესო შეთანხმებით შემოსული სისხლის სამართლის საქმე დაეწერა და დაასრულა 31; შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შესახებ დაეწერა და დაასრულა 102; საგამოძიებო ღონისძიებებზე შემოსული შუამდგომლობები დაეწერა და დაასრულა 154; სხვა ტიპის სისხლის სამართლის სამართლის საქმეები დაეწერა და დაასრულა 9; სამოქალაქო

სამართალწარმოების საქმე დაეწერა 202 დაასრულა 155 (76%); განცხადება უზრუნველყოფის შესახებ დაეწერა და დაასრულა 9; ადმინისტრაციული საქმე დაეწერა და დაასრულა 11; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე დაეწერა და დაასრულა 218. -- რაიონული სასამართლოს 2017 წლის სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლე -- -- 2017 წელს წარმოებაში ჰქონდა: სისხლის 31 საქმე - დაასრულა 25 (81%), ადმინისტრაციულის 9 საქმე - დაასრულა 9 (100%), სამოქალაქოს 487 საქმე - დაასრულა 285 (58%).

სწორედ არსებული სტატისტიკის და მოსამართლის დატვირთულების, ასევე მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული საქმეთა განხილვის ვადები ვერ ჩაითვლება არაგონივრულ ვადად, განსახილველ შემთხვევაში არ დგინდება მოსამართლის მხრიდან საქმის განხილვის განზრახ ბრალეულად გაჭიანურების ფაქტი. არსებულ მოცემულობაში, საპროცესო ვადის დარღვევა განაპირობა მოსამართლის წარმოებაში არსებულმა საქმეთა სიმრავლემ და იმ ობიექტურმა ხელშემშლელმა გარემოებებმა, რაზედაც მოსამართლე ახსნა-განმარტებაში მიუთითებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2019 წლის 11 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა) მიიღო გადაწყვეტილება, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{13} მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №99/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტზე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი